

საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლები  
საპარლამენტო რესპუბლიკებში

აიჰან გასანოვი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წინამდებარე ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აიჰან გასანოვი

25/06/2024

## აბსტრაქტი

მმართველობის საპარლამენტო სისტემის განვითარებას მოჰყვა საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტის ფუნქციისა და უფლებამოსილებების სიმბოლიზაცია. მისი უფლებამოსილებების დიდი ნაწილი გადაეცა პრემიერ-მინისტრსა და სხვა მინისტრებს, რის შედეგადაც, დარჩა მხოლოდ სიმბოლური დანიშნულების უფლებამოსილებები. ერთ-ერთი მათგანია საგარეო ურთიერთობებში მონაწილეობა, რაც კონსტიტუციონალიზმში დისკუსიის საგანია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტის საგარეო უფლებამოსილებების ფარგლების დადგენა, მისი კონსტიტუციური სტატუსის განხილვა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გადმოსახედიდან, მთავრობისა და პრეზიდენტის ურთიერთმიმართებისა და საქართველოს კონსტიტუციის მაგალითზე პრობლემის გამოკვლევა.

ხსენებული საკითხების საკვლევად გამოყენებულ იქნა პრობლემაზე დაფუძნებული დოქტრინული კვლევის, შეფასების, შედარებითი, აღწერითი/მიმოხილვითი და ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდები, რომელთა საშუალებებითაც გამოვლინდა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი, ე.წ. ცერემონიული უფლებამოსილებების მიუხედავად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გადმოსახედიდან, მაინც ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას. ასევე გამოვლინდა, რომ პრეზიდენტს აქვს საგარეო ურთიერთობებში მონაწილეობის უფლებამოსილება და მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უზენაესი ორგანო არის მთავრობა, პრეზიდენტი მაინც წარმოადგენს ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში და ზოგიერთ ქვეყანაში, ცენტრალური ფიგურაც კია. თუმცა ეს მხოლოდ ერთი მთავარი პირობით, რომ იგი არ უნდა სცდებოდეს განსაზღვრული საგარეო უფლებამოსილებების ფარგლებს და არ უნდა ცდილობდეს პარალელური საგარეო პოლიტიკის გატარებას.

საქართველოს კონსტიტუციის მაგალითის განხილვამ გამოავლინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლი (უფლების დამდგენი ნორმა) არ შეესაბამება განხილული კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკების მიდგომას და იგი არსებითად პრობლემურია. აკნინებს პრეზიდენტის კონსტიტუციურ სტატუსს და წარმოშობს მის სრულად მთავრობაზე დამოკიდებულების საჭიროებას.

შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის „ა“ პუნქტის პირდაპირი წაკითხვისას, მისი შინაარსი აღქმება ისე, რომ პრეზიდენტის საგარეო წარმომადგენლობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მთავრობის თანხმობით, ეს დათქმა საპარლამენტო მმართველობის ფარგლებშიც კი არ შეესაბამება პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს.

**საკვანძო სიტყვები:** საპარლამენტო რესპუბლიკა, საგარეო ურთიერთობებში, წარმომადგენლობა, მთავრობის თანხმობა, პრეზიდენტი, საგარეო უფლებამოსილებები.

## Abstract

The development of the parliamentary system of governance was followed by the symbolization of the function and powers of the president in the parliamentary republics. Most of his powers were transferred to the Prime Minister and other ministers, leaving only symbolic powers. One of them is participation in foreign relations, which is a subject of discussion in constitutionalism.

The purpose of this paper was to determine the scope of the president's foreign powers in the parliamentary republics, to discuss his constitutional status from the perspective of the principle of separation of powers, to examine the problem of the relationship between the government and the president and the Georgian constitution as an example.

To investigate the mentioned issues, problem-based doctrinal research, evaluation, comparative, descriptive/overview and historical-legal methods were used, by means of which it was revealed that the president in the parliamentary republics, despite the so-called ceremonial powers, still performs an important function from the perspective of the principle of separation of powers. It was also revealed that the president has the authority to participate in foreign relations, and although the government is the supreme body responsible for implementing foreign policy, the president still represents the country in foreign relations and, in some countries, is even a central figure. However, this is only under one main condition, that it should not go beyond the scope of defined foreign powers and should not try to pursue a parallel foreign policy.

Examining the example of the Constitution of Georgia revealed that Article 52 of the Constitution of Georgia (norm establishing the right) does not correspond to the approach of the discussed classical parliamentary republics and is inherently problematic. It undermines the constitutional status of the president and creates the need to be completely dependent on the government.

Accordingly, when reading Article 52, paragraph "A" of the Constitution of Georgia directly, its content is perceived in such a way that the foreign representation of the President should be carried out only with the approval of the government, this reservations even within the framework of parliamentary governance does not correspond to the functions of the President as the head of states.

**Key words:** parliamentary republic, foreign relations, representation, government approval, president, foreign powers.